სილაბუსის მართვის ინოვაციური მოდელი
სილაბუსის მართვა Ms Projec - ის გამოყენებით

ჯულიეტა გაგლოშვილი
ელ. ფოსტა: julieta.gagloshvili@tsu.ge
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თსუ, XI კორპუსი

სილაბუსი - წარმოადგენს სასწავლო კურსის პროგრამას. იგი არის კურსის შინაარსობრივი გეგმა, ზუსტად ასახავს სწავლების საფეხურს, მიზანს, ამოცანებს და სწავლების შედეგებს. ამავდროულად უზრუნველეყოფს სწავლებისადმი სისტემურ მიდგომას და საგნის განვითარებას.

უმაღლეს სასწავლებლებში სილაბუსის საშუალებით ხდება ურთიერთობა სტუდენტსა და ლექტორს, ასევე საგანსა და სილაბუსის ავტორს შორის.

სტატიაში წარმოდგენილია სილაბუსის შექმნის, მართვის საშუალებები და შესაძლებლობები პროექტების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის - **Ms Project** - ის გამოყენებით. იგი როგორც ობიექტი, განხილულია პროექტის სახით.

აქედან გამომდინარე სილაბუსის შესაქმნელად და სამართავად, ასევე მისი რეალიზაციაზე დაკვირვების, ანალიზის და შემდგომი განვითარებისათვის, ისეთი მძლავრი ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიცაა Ms Project , საკმაოდ ეფექტურია.